ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №129

2015 წლის 25 ნოემბერი,
ქ. ბათუმი

ბსუ-ს უწყვეტი განათლების ცენტრის შექმნისა და მისი დებულების პროექტის განხილვის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის, განათლების ფაკულტეტის პედაგოგთა დახელოვნებისა და პროფესიული განვითარების ცენტრის კოორდინატორის, ასოცირებულ პროფესორ თემურ ავალიანის 2015 წლის 29 ოქტომბრის (MES 11501133350) მოხსენებითი ბარათის, განათლების ფაკულტეტის მოსამზადებელი ცენტრის კოორდინატორის, პროფესორ მალხაზ ჩოხარაძის 2015 წლის 28 სექტემბრის (MES 81500982842) მოხსენებითი ბარათის, საგრანტო პროექტის ,,უნივერსიტეტის, როგორც უწყვეტის განათლების ინსტიტუციის როლის გაძლიერება“ მენეჯერ ლია ინაიშვილის მოხსენებითი ბარათის (13.11.2015) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ინა:

1. შეიქმნას საუნივერსიტეტო დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეული „ბსუ-ს უწყვეტი განათლების ცენტრი“ და მოწონებული იქნეს ამ ცენტრის თანდართული დებულების პროექტი **(დანართი 1)**;

2. ეთხოვოს წარმომადგენლობით საბჭოს ბსუ-ს უწყვეტი განათლების ცენტრის შექმნისა და თანდართული დებულების დამტკიცების შესახებ საკითხის განხილვა;

3. წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ ბსუ-ს უწყვეტი განათლების ცენტრის შექმნისა და თანდართული დებულების დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთანავე:

ა) ძალადაკარგულად ჩაითვალოს „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტზე არსებული „აბიტურიენტთა მოსამზადებელი ცენტრი“-ს დებულების დამტკიცების შესახებ“ რსუ-ს აკადემიური საბჭოს 2010 წლის 20 იანვრის №3 დადგენილების ძალადაკარგულად ცნობისა და რსუ-ს მოსამზადებელი ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე“ **ბსუ-ს აკადემიური საბჭოს2010 წლის 15 ოქტომბრის N114 დადგენილება;**

ბ) ძალადაკარგულად ჩაითვალოს „რსუ-ს განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის სტრუქტურისათვის „პედაგოგთა დახელოვნებისა და პროფესიული

განვითარების ცენტრის“ დამატებისა და ამ ცენტრის დებულების განხილვის შესახებ“ **ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2012 წლის 29 მარტის N36 დადგენილება;**

გ) „ბსუ–ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტთან არსებული დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის – „ფსიქოლოგიის კლინიკის“ დებულების განხილვის შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 17 ივლისის N75 დადგენილებაში შევიდეს ცვლილებები, კერძოდ:

<u>გ.1.) ფსიქოლოგიის კლინიკის დებულების მე-5 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:</u>

„4. პროფესიული საბჭოს მიერ იქმნება მოკლევადიანი პროგრამები, რომელიც მტკიცდება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ.

5. კლინიკის წარდგენით აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული ფასიანი მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება ბსუ-ს უწყვეტი განათლების ცენტრის ბაზაზე, რომლის დასრულების შემდეგ, ფსიქოლოგიის მიმართულების/კლინიკის კოორდინატორის წარდგინებითა და რექტორის ბრძანების საფუძველზე გაიცემა შესაბამისი სერთიფიკატები“.

<u>გ.2.)</u> <u>ფსიქოლოგიის კლინიკის დებულების მე-6 მუხლი ამოღებული იქნეს;</u>

<u>გ.3.)</u> <u>ფსიქოლოგიის კლინიკის დებულების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:</u>

„3. კლინიკის მიერ წარდგენილი პროგრამების შემოსავლების 40 % რჩება ბსუ-ს ბიუჯეტში, ხოლო დანარჩენი (60%) გაიცემა პროგრამის განმახორციელებელ პერსონალზე და ხმარდება ამ პროგრამების განვითარებას“.

4. დადგენილება აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს;

5. წინამდებარე დადგენილებით განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შემდეგ, ეთხოვოს ბსუ-ს მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებს ბსუ-ს უწყვეტი განათლების ბაზაზე განსახორციელებელი პროგრამების თანდართული ფორმატით (დანართი 1) ბსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებისათვის ხელახალი წარდგენა, ცენტრის დებულების შესაბამისად დამტკიცების მიზნით;

6. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს სხდომის თავმჯდომარე
პროფესორი **გურამ ჩაგანავა**

დანართი 1

ბსუ-ს უწყვეტი განათლების ცენტრის
დებულება

მუხლი 1. დებულების რეგულირების სფერო

ეს დებულება განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში „ბსუ"-ს) დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - **ბსუ-ს უწყვეტი განათლების ცენტრის** (შემდეგში „ცენტრი") უფლებამოსილებას, მიზნებს, საქმიანობის მიმართულებებს, პერსონალის მოწვევისა და ფუნქციონირების შედეგად ბსუ-ს მიერ მიღებული შემოსავლების განაწილების წესს.

მუხლი 2. ცენტრის უფლებამოსილება

ცენტრი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, ბსუ-ს წესდების, წინამდებარე დებულებისა და ბსუ-ს სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

მუხლი 3. ცენტრის მიზნები და ამოცანები, საქმიანობის სფერო და ძირითადი მიმართულებანი

1. ცენტრის ძირითადი მიზანია: მოსამზადებელი პროგრამების (ტრენინგ-პროგრამების) განხორციელება ცალკეულ დისციპლინებსა, თუ ცოდნის სხვა დარგებში; სკოლამდელი აღზრდის, დაწყებითი, საბაზო, საშუალო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგთა პროფესიული განვითარების მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება;
2. ცენტრის მომსახურებით, განუსაზღვრელად ასაკისა, სარგებლობენ საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეებიდა მოქალაქეობის არმქონე პირები, რომელთაც სურთ ცოდნის (კვალიფიკაციის) სრულყოფა ცენტრის მიმართულებებში.
3. სწავლების სტანდარტის მოთხოვნებიდან გამომდინარე ცალკეული ტრენინგ-პროგრამის განსახორციელებლად ცენტრმა შესაძლებელია უზრუნველყოს სახელმძღვანელოების, ტესტთა კრებულების, მეთოდოლოგიური და სხვა სახის მასალების მომზადება/გამოცემა.

4. ცენტრის საქმიანობის მიმართულებებია:

ა) მოსამზადებელი (აბიტურიენტთა/მაგისტრანტობის კანდიდატთა მოსამზადებელი პროგრამების (სხავადასხვა საგნების - მათემატიკა, ქართული ენა და ლიტერატურა, ზოგადი უნარები, უცხო ენებისა და სხვა სწავლება);

ბ) სკოლამდელი აღზრდის სწავლება;

გ) პედაგოგთა პროფესიული განვითარება;

დ) ფსიქოლოგიის სწავლება-მომსახურება;

ე) ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განსაზღვრული, პროფესიული მომზადების, კვალიფიკაციის ასამაღლებელი და გადამზადების/ტრენინგების სხვადასხვა კურსების განხორციელება.

5. ცენტრის შესაბამისი მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამები/ტრენინგ-კურსები მტკიცდება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით. ამ ბრძანების გამოცემის საფუძველი არის ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს დადებითი დასკვნა, შესაბამისი პროგრამის/კურსის/ტრენინგის განხორციელების შესახებ.

6. ცენტრის შესაბამისი მიმართულება ამყარებს და განამტკიცებს კონტაქტებს შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, შესაძლებლობების ფარგლებში ახორციელებს სასწავლო-მეთოდოლოგიურ, საკონსულტაციო, საქველმოქმედო ტრენინგებს სკოლებისა თუ სხვა სასწავლო დაწესებულებებისათვის, მაღალმთიანი რეგიონების მსმენელთათვის, სოციალურად დაუცველი ფენებისათვის და სხვა.

7. თავისი საქმიანობის შესახებ მოსახლეობის ინფორმირების მიზნით ცენტრის ორგანიზებით შესაძლებელია გამოიცეს ბუკლეტები, მომზადდეს სარეკლამო რგოლები, განხორციელდეს კონსულტაციები და სხვა საქმიანობა.

მუხლი 4. ცენტრის სასწავლო პროცესი

1. ცენტრის ცალკეულ პროგრამაზე მსმენელის ჩარიცხვა ხდება ბსუ-ს რექტორის ბრძანების საფუძველზე. აღნიშნული ბრძანება გამოიცემა მსმენელთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების საფუძველზე.

3. ცენტრში ცალკეული საგნობრივი ჯგუფების ჩამოყალიბება, ჯგუფში ჩარიცხვა, ჯგუფიდან ამორიცხვა, ჯგუფიდან ჯგუფში გადაყვანა ხდება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით, ცენტრის შესაბამისი მიმართულების კოორდინატორის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე.

4. ცენტრი უზრუნველყოფს:

ა) მსმენელთათვის სასწავლო პროცესის ორგანიზებას (აყალიბებს სასწავლო ჯგუფებს ან/და აწესებს სწავლების ინდივიდუალურ გრაფიკს, განსაზღვრავს სასწავლო პროცესის, საწვრთნელი თუ საკონტროლო ტესტირებებისთვის, საჭიროების შემთხვევაში - გამოცდებისთვის აუცილებელი საათების რაოდენობას, ორგანიზებას უწევს ცენტრის სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით სპეციალისტების/პერსონალის მოწვევას, ადგენს ტრენინგების, საკონტროლო ტესტირებების ცხრილებს;

ბ)უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვისთითოეული პროგრამის/ტრენინგ-კურსის ხარჯთაღრიცხვის წარდგენას;

5. ცენტრი უზრუნველყოფს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა (ან მოქალაქეობის არმქონე პირთა, რომელთაც უცხო ქვეყანაში მიიღეს განათლება), მომზადებას მათთვის სასურველ მოსამზადებელ პროგრამებზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6. ტრენინგ-პროგრამის დასრულების შემდეგ, მსმენელის თხოვნის შემთხვევაში, ცენტრის შესაბამისი მიმართულების კოორდინატორის მიერ მზადდებამსემენელისათვის სერტიფიკატის დამზადებისა და გაცემის შესახებ ბსუ-ს რექტორის სამართლებრივი აქტი.

7. ცენტრის მსმენელის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს:

ა) სწავლის შეწყვეტის თაობაზე მსმენელის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის განცხადება, წარმოდგენილი არაუგვიანეს სწავლების პირველი ეტაპის დასრულებისა. ასეთ შემთხვევაში დაბრუნებას ექვემდებარება მხოლოდ მე-2 ეტაპის სწავლის საფასური, თუკი ის წინასწარ იყო გადახდილი;

ბ) სწავლის საფასურის გადაუხდელობა ან ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულების დარღვევა.

გ) მეცადინეობებზე გამოუცხადებლობა, დიდი რაოდენობით გაცდენები (50% და მეტი);

დ) ბსუ-ს შინაგანაწესით დადგენილი ნორმების უხეში დარღვევა (დისციპლინარული გადაცდომა, რაც ბსუ-ს შინაგანაწესის თანახმად არის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი);

მუხლი 5. ცენტრის მართვა, მოწვეული პერსონალი და შრომის ანაზღაურება

1. ცენტრის მმართველი ორგანოა საკოორდინაციო საბჭო, რომელიც ანგარიშვალდებულია რექტორისა (აკადემიურ სფეროში) და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (ფინანსურ სფეროში) წინაშე;

2. საბჭოს შემადგენლობა (თავმჯდომარე და წევრები) მტკიცდება ბსუ-ს რექტორის ბრძანების საფუძველზე. ცენტრის მიმართულებების - მოკლევადიანი საგანმანათლებლო/მოსამზადებელი პროგრამების/პროექტების/ტრენინგ-კურსების ხელმძღვანელები (კოორდინატორები) ამავდროულად არიან საკოორდინაციო საბჭოს წევრები.

3. საბჭოს სხდომა მოიწვევა არანაკლებ 3 თვეში ერთხელ და სასწავლო პროცესის საჭიროებისამებრ;

4. ცენტრის ფუნქციების განხორციელებას უზრუნველყოფს ცენტრის ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის საბჭოს თავმჯდომარე;

5. ცენტრის ხელმძღვანელს, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

6. ცენტრის ხელმძღვანელი:

ა) უზრუნველყოფს ცენტრში სასწავლო-მეთოდური საქმიანობის ეფექტურ მიმდინარეობას;

ბ) ზრუნავს მოკლევადიანი პროგრამების/ტრენინგ-კურსების განახლებაზე;

გ) წარუდგენს წინადადებებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური და სასწავლო ბაზის გაუმჯობესებაზე;

დ) უზრუნველყოფს მსმენელებთან გაფორმებული ხელშეკრულებების, აღრიცხვისა და შეფასების ჟურნალების დადგენილი წესით წარმოებასა და შენახვას;

ე) კომპეტენციის ფარგლებში ამზადებს ვებგვერდზე განსათავსებელ ინფორმაციას;

ვ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებების შესრულებაზე;

ზ) პასუხისმგებელია ცენტრის პროგრამების ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, ცენტრის განვითარებისათვის განსაზღვრული ხარჯების გამოყენებისათვის ეფექტური ღონისძიებების შერჩევაზე;

თ) კოორდინაციას უწევს ცენტრის მიმართულებების - პროგრამების/ტრენინგ-კურსების კოორდინატორების საქმიანობას (პროგრამების სრულყოფისათვის გატარებული ღონისძიებები, შესაბამის პროგრამებზე მსმენელთა ჩარიცხვა/ამორიცხვა/მსმენელებთან და მოწვეულ პერსონალთან ხელშეკრულებათა გაფორმება/ანაზღაურების შესახებ სამართლებრივი აქტების მომზადება);

ი) ახორციელებს ამ დებულებითა და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებას.

7. ცენტრი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ, კანონმდებლობის საფუძველზე, მასზე დაკისრებულ დავალებებს და ანგარიშვალდებულია მათ წინაშე.

8. ცენტრის მუშაობის ანგარიშს წელიწადში ერთხელ ისმენს აკადემიური საბჭო.

9. ცენტრის ხელმძღვანელის, ცალკეული მიმართულების კოორდინატორების, მოწვეული პერსონალის შრომის საათობრივი ანაზღაურება, ასევე თითოეულ პროგრამაზე სწავლის საფასური (მათ შორის შეღავათიანი სწავლის საფასური) განისაზღვრება ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.

10. ცენტრის მიმართულებათა კოორდინატორები ყოველთვიურად წარუდგენენადმინისტრაციის ხელმძღვანელს სამსახურებრივ ბარათს მოწვეულიპერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს (საათების) რაოდენობის შესახებ. ანაზღაურების გაცემა ხდება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების შესაბამისად, ყოველთვიურად.

მუხლი 6. ცენტრის ხარჯთაღრიცხვა

1. ცენტრის საქმიანობის შედეგადბსუ-ს შემოსავლის წყაროა ცენტრის პროგრამის/ტრენინგ-კურსის მსმენელთა სწავლის საფასური. ასეთი წყარო შეიძლება იყოს საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

2. ცენტრის თითოეული პროგრამის/ტრენინგ-კურსის ხარჯთაღრიცხვას ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტთან შეთანხმებით ადგენს ცენტრის მიმართულებათა კოორდინატორები და ამტკიცებს ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

3. თითოეული პროგრამის/ტრენინგ-კურსის ხარჯთაღრიცხვის შედგენისას გაითვალისწინება შემდეგი:

ა) ცენტრის პროგრამაზე/ტრენინგ-კურსზე სწავლების საფასურის (შემოსავლების) 60% მოხმარდება მოწვეული პერსონალის შრომის ანაზღაურებას;

ბ) ცენტრის პროგრამაზე/ტრენინგ-კურსზე სწავლების საფასურის (შემოსავლების) 40% რჩება უნივერსიტეტის შემოსავლებში.

გ) ბსუ-ს ფაკულტეტის მიერ ახალი ტრენინგ-კურსის დანერგვის შესახებ ინიციატივის წარმოდგენის შემთხვევაში შესაძლებელია „ბ“ პუნქტში აღნიშნული შემოსავლების 40%-დან 20% გაიხარჯოს ინიციატორის წინადადების მიხედვით.

მუხლი 7. ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

ცენტრის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 8. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.